სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზ. **N79**
0102 თბილისი, საქართველო
info@heritagesites.ge

28 / თებერვალი / 2025 წ.

№ **17/531**

KA990101994293225

სსიპ - სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტოს გაყიდვების
მხარდაჭერის სამსახურის უფროსს,
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2025 წლის 26 თებერვლის №6/10599 კორესპონდენცია, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წეროვანში მდებარე 365.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ N72.08.06.514) პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ N72.08.06.514 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი ხვდება ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - „სამების ეკლესია“ (გის N5071) (საქართველოს პრეზიდენტის 07/11/2006 N665 ბრძანება) ვიზუალური დაცვის არეალში, შესაბამისად, მასზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციები.

დასახელებული კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონად განისაზღვრება ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, რომელიც შედგება ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალებისგან და დგინდება ძეგლის ფიზიკური და ვიზუალური დაცვის მიზნით.

ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი არის ტერიტორია ფიზიკური დაცვის არეალის მიღმა, რომლის ცვლილებაც გავლენას ახდენს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე ან/და ძეგლის სრულფასოვან აღქმაზე. ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წეროვანში მდებარე 365.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ N72.08.06.514) პრივატიზების შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დამცავ ზონებში დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი. ამასთან, უძრავი ქონების შემდგომ განვითარების, მათ შორის, მასზე კანონმდებლობით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების დაგეგმვის შემთხვევაში, საჭიროა, ნებისმიერი ქმედება დადგენილი წესით შეთანხმდეს ყველა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოსთან, მათ შორის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პაატა გაფრინდაშვილი